

აზერბაიჯანულს შუამავლობისათვის
სპარსულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობებში
ON AZERBAIJANI MEDIATION
IN PERSIAN-GEORGIAN LANGUAGE CONTACTS

ფატმან ანთადე-მალაშხია
Patman Antadze-Malashkhia

საბინა კაზიმოვი
Sabina Kazimovi

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ენობრივი ურთიერთობები, სპარსული,
ქართული, აზერბაიჯანული, შუამავლობა
Keywords: Language Contacts, Persian, Georgian, Mediation

მრავალსაუკუნოვანი ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობების განმავლო-ბაში ლექსიკური ერთეულები სპარსული ენის სხვადასხვა საფეხურზე ქართულში შემოდიოდა როგორც უშუალო, ასევე გაშუალებული გზით. მ. ანდრონიკაშვილის მიხედვით, საშუალო სპარსულის პერიოდში უშუალო სესხების პარალელურად სპარსიზმების ქართულში შემოსვლა სომხურის მეშვეობითაც ხდებოდა (1966:7; 163). ახალი სპარსულის ენობრივ საფეხურზე კი, მ. ანდრონიკაშვილისვე მითითებით, მე-11 საუკუნიდან თავად სპარსული გვევლინებოდა შუამავალ ენად არაბიზმთა სესხებისას, რადგან ამ დროისათვის განწყვეტილი იყო უშუალო ენობრივი ურთიერთობები არაბულსა და ქართულს შორის (1965:257).

ქართულში შემოსულ ზოგიერთ ახალ სპარსულ ნასესხობათა ანალიზის შედეგად ჩანს, რომ სპარსიზმებს ქართული მხოლოდ უშუალო გზით არ სესხულობდა და ამ სიტყვათა ნაწილი თურქულ ენათა, კერძოდ კი, ბარის აღმოსავლურ ქართულ დიალექტებთან მჭიდროდ კონტაქტირებადი აზერბაიჯანულის გზითაც შემოდიოდა. სპარსულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობათა კვლევისას ეს გარემოება ჯერჯერობით გათვალისწინებული არ ყოფილა.

ქართულში ნასესხები შვიდი სპარსიზმის ფონეტიკური ან სემანტიკური ფორმა მიუთითებს ამ სიტყვათა აზერბაიჯანული მეშვეობით შემოსვლაზე. ეს სიტყვებია:

1. ავარა[avara] – ამ სიტყვას ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ქეგლ, 1950/64) წარმოგვიდგენს კოლოკვიალიზმად მნიშვნელობით „უსაქმოდ მოხეტიალე, მოხულიგნო ახალგაზრდა, მანანწალა“. ეს ნასესხობა მისი სპარსული ეტიმონის მსგავსად, გრამატიკული პოლისემანტია და წარმოგვიდგება როგორც არსებითის, ასევე ზედსართავის სახით: ვიდაც ავარები[viyac avar-eb-i] (არს. სახ.); ის ერთი ავარა ბიჭია [is ert-i avara biç-i-a] (ზედ. სახ.).

შეადარეთ: სპარს. **اوارو** [âvâre] – 1.არს. სახ. მანანწალა; დევნილი; 2.ზედ. სახ. მოხეტიალე; 3.ზედ. სახ. უბედური, უიღბლო- (Anvari: 1382/2003) და აზერ. Avara [avara] – 1.არს. სახ. ადამიანი, რომელიც ხეტიალის გარდა არაფერს აკეთებს – უსაქმური ადა-

მიანი//ადამიანი, რომელსაც არც საქმე აქვს და არც მუშაობა შეუძლია; 2.ზედ. სახ. უბინაო, უსახლკარო (Orucov: 2006).

ეტიმონის პირველი მნიშვნელობა „მანანწალა“ გადმოტანილია აზერბაიჯანულსა და ქართულში და ამავდროულად გადააზრებულიცაა. აზერბაიჯანული ვარიანტის პირველი მნიშვნელობისა და ქართული მნიშვნელობის შინაარსობლივი სიახლოვე მიუთითებს ქართულში ამ სიტყვის აზერბაიჯანული გზით შემოსვლაზე.

2.ქართ. დაზგა[dazga] – არს.სახ. 1.ჩარხი - მანქანა ლითონის (ხის და მისთ.) დასამუშავებლად// მანქანა ქსოვილისა და სხვათა დასამზადებლად; 2.დურგლის სამუშაო მაგიდა; 3. სხვადასხვა დარგის ხელოსანთა სამუშაო მაგიდა; 4.მოძვ. იგივეა, რაც დახლი (ქეგლ 1950/64).

შეადარეთ: სპარს. دستگاه [dastgâh] – არს.სახ. 1.ხელსაწყო; დანადგარი; დაზგა 2.აპარატი; სისტემა; 3.ძალაუფლება(Anvari: 1382/2003) და აზერ. Dəzgah [dæzɡah] – არს.სახ. 1.მანქანა, რომელიც ამზადებს სხვადასხვა ნივთებს ხისგან, ლითონისგან და სხვა მასალებისგან; 2.დიდი მაგიდა, რომელზეც ოსტატები მუშაობენ; 3.ხალიჩების საქსოვი მოწყობილობა(Orucov: 2006).

აზერბაიჯანულ მნიშვნელობებსა და სამ ქართულ მნიშვნელობას ეტიმონის პირველი მნიშვნელობა უდევს საფუძვლად. დახლის სინონიმური მნიშვნელობა კი ქართულში წარმოქმნილია დაზგის, როგორც ხელოსნის სამუშაო მაგიდის გადააზრების საფუძველზე.

ქართულში ამ სიტყვის აზერბაიჯანულიდან შემოსვლაზე მიგვანიშნებს აზერბაიჯანულ და ქართულ ფორმათა ფონეტიკური მსგავსება და სპარსული st ბგერათკომპლექსის არა სტ-დ, არამედ ქართულისთვის უჩვეულო ზ ფორმით შეთვისება.

3.ქართ. თოხუმ-ი [toxum-i] – არს. სახ. ჩამომავლობა, ჭიში, ჭილაგი (ქეგლ 1950/64).

შეადარეთ: სპარს. تخم [toxm] – არს. სახ. 1.თესლი, მარცვალი(მცენარის); 2.კვერცხი; 3.ჭიში(Anvari: 1382/2003) და აზერ. Toxum [toxum] – არს. სახ. 1.თესლი. 2.ჩამომავლობა(Orucov: 2006).

ფონეტიკური ფორმა ადასტურებს ქართული პარალელის აზერბაიჯანულიდან მომდინარეობას.

4. ქართ. ზაჰრუმა[zahruma] – 1.შორისდ. არგადარჩენა! სიკვდილი! მოსპობა! (ქეგლ 1950/64).

შეადარეთ: სპარს. **زهر مار** [zähr-e mār] - არს. სახ. გველის შხამი(Anvari: 1382/2003) და აზერ. **Zəhrimar** – [zæhrimar] - 1.არს. სახ. შხამი, საწამლავი; 2.შორისდ. სიკვდილი, ჭირი!(Orucov: 2006).

სპარსული შესიტყვება **زهر مار**[zähr-e mār] გაშორისდებულებულია აზერბაიჯანულში და ქართულშიც შორისდებულად აზერბაიჯანულიდანაა შემოსული.

5. ქართ. ნარ-ი[nar-i] – არს. სახ. მოძვ. მამალი აქლემი(-ქეგლ 1950/64).

შეადარეთ: სპარს. **نر** [när] 1.ზედ. სახ. მამრი, მამრობითი სქესის; 2.მოძვ. ზედ. სახ. მამაცი გულადი; 3.არს. სახ. ხვადი(Anvari: 1382/2003) და აზერ. **Nər** – [nær] – 1.ზედ. სახ. ძლიერი, უშიშარი, მამაცი; 2.არს. სახ. ხვადი/მამრი აქლემი(Orucov: 2006).

აზერბაიჯანულში გადმოტანილია სპარსული ეტიმონის ერთ-ერთ ზედსართა-ვული მნიშვნელობა „მამაცი.“ რაც შეეხება სუბსტანტივურ მნიშვნელობას „ხვადი,“ ის აზერბაიჯანულში სემანტიკურად დავინროებულია და შემდგომ უცვლელადაა გადმოტანილი მონოსემიზებულ ქართულ პარალელში.

6. ქართ. ჯამბაზ-ი[jambaz-i] – არს.სახ. 1.თოკზე მოსიარულე - მუშაითი; 2.ციციკის მსახიობი - მასხარა, ხუმარა(ქეგლ 1950/64).

შეადარეთ: სპარს. **جامباز**[jāmbāz] – 1.ზედ.სახ. საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩამგდები; მამაცი; უშიშარი; 2.არს.სახ. მამაცი, უშიშარი ადამიანი; თავზე ხელაღებული კაცი; 3.ძვ. არს. სახ. ბაგირზე მოსიარულე; ჯამბაზი(Anvari: 1382/2003) და ასევე სპარს. **جامباز** - [jāmbāz] - არს. სახ. 1.ლოთი-შფოთი; მოქეიფე; 2.თაღლითი, შულერი(Anvari: 1382/2003) და აზერ. **Canbaz** [jambaz] – არს.სახ. 1. აკრობატი; 2.ხუმარა, ოხუნჯი(Orucov: 2006).

აზერბაიჯანულ და ქართულ პარალელთა პირველი მნიშვნელობები ეფუძნება სპარსული **جامباز**[jāmbāz]-ის მოძველებულ სუბსტანტივურ მნიშვნელობას. რაც შეეხება მნიშვნელობას – „მასხარა, ხუმარა“, მისთვის ამოსავალი ფორმაა **جامباز** [jāmbāz]-ის მნიშვნელობა „ლოთი-შფოთი; მოქეიფე,“ რომელიც გადააზრებულია მოქეიფის ასოციაციით მხიარულებასთან, ხუმრობა-ოხუნჯობასთან. ამრიგად, ადგილი აქვს ორი პარონიმის კონტამინაციას მსესხებელ ენებში. „მასხარას, ხუმარას“

შინაარსობლივი იგივეობა აზერბაიჯანულსა და ქართულში მიუთითებს ამ მნიშვნელობის აზერბაიჯანულიდან გადმოტანაზე ქართულში.

აზერბაიჯანულისგან განსხვავებით, სადაც მხოლოდ Canbaz [janbaz] ფორმა დასტურდება, ქართულში გვაქვს ფონეტიკური ვარიანტები ჯანბაზ-ი[janbaz-i] და ჯამბაზ-ი[jambaz-i], ანუ აქ მოხდა არა მხოლოდ სემანტიკური, არამედ ფონეტიკური კონტამინაციაც.

7. ქართ. ჯომარდ-ი[jomard-i] – ძვ. ზედ. სახ.; არს. სახ. გულადი, ყოჩალი, ქველი (ქეგლ 1950/64).

შეადარეთ: სპარს. جافانمرد[jävānmärd] – 1.არს.სახ. კეთილშობილი; დიდსულოვანი ადამიანი. 2.არს.სახ. მამაცი ადამიანი; 3.ზედ.სახ. კეთილშობილი, დიდსულოვანი; 4.ზედ.სახ. მამაცი; ჯომარდი(Anvari: 1382/2003) და აზერ. Cavanmærd [javanmærd] იხ. comærd [jomærd] - ზედ.სახ. 1.გულუხვი, კეთილშობილი; 2.დიდსულოვანი, მამაცი (Orucov: 2006).

აზერბაიჯანულში მითითებული ნასესხობა ორი ფონეტიკური ვარიანტით დასტურდება. გრამატიკულად პოლისემიური ეტიმონის ორივე მნიშვნელობა გადასულია ზედსართავის სახით.

გრამატიკულად პოლისემიურია ასევე ქართული ვარიანტი და ის ეფუძნება ეტიმონის მესამე და მეოთხე მნიშვნელობებს. ქართული ჯომარდისთვის [jomard-i]ამოსავალია აზერბაიჯანული comærd [jomærd] ფონეტიკური ფორმა.

განხილული მაგალითები ცხადყოფს, რომ ახალი სპარსული ნასესხობები ქართულში არა მხოლოდ უშუალოდ, არამედ აზერბაიჯანულის შუამავლობითაც შემოდიოდა, რაც ამ მიმართულებით კვლევის გაგრძელების საჭიროებაზე მიუთითებს.

ლიტერატურა:

- ანდრონიკაშვილი, მ.(1965). არაბული სიტყვების სპარსული გზით შემოსვლის შესახებ ქართულში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 105, 298-330, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- ანდრონიკაშვილი, მ. (1966). ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან I, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი(1950-1964). თბილისი: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.
- ىاروان، ح. (1382/2003). انخس، نارهت، فشرش گنهرف / Anvari, H.(1382/2003) Farhang-e feshorde-ye soxan: j. I-II, Tehran: soxan.
- Orucov, Ə.(2006). Azərbaycan dilinin izahlı lüğəti, Baku: Sherq-Qerb.

During the longstanding Iranian-Georgian language contacts, at various stages of development of the Persian language, lexical units penetrated Georgian either directly from Persian or by way of mediation. According to M. Andronikashvili, in the Middle Persian period, lexical units penetrated into Georgian either directly from Persian or via Armenian (1966:7; 163). However, according to the same author, during the New Persian language period, beginning from the 11th century, the Persian language was a mediator in the process of borrowing from Arabic, because at this time there were no direct language contacts between Arabic and Georgian (1965:257).

Analysis of certain loans borrowed by Georgian from New Persian has proved that Persian lexical units were borrowed from Georgian not only directly but also via Turkic languages, namely, Azerbaijani, which was in close contact with the Eastern lowland dialects of Georgian. So far, this fact has not been considered in the research of Persian-Georgian language contacts.

The phonetic and semantic forms of seven Persian loan-words point to their penetration into Georgian via Azerbaijani. These words are as follows:

1. ავარა[**avara**] – The Explanatory Dictionary of the Georgian Language (KEGL, 1950/64) represents this word as a colloquialism and explains its meaning as follows: “an idle, roaming youngster, hooligan, tramp“. Like its Persian etymon, this loanword is grammatically polysemantic i.e. it is both a noun and an adjective: ვიღაც ავარები[viɣac **avar**-eb-i] (some avaras) (*noun*); ის ერთი ავარა ბიჭია [is ert-i **avara** biç-i-a] (he is a roaming youngster) (*adjective*).

Cf. Persian **Ājljo** [āvāre] – 1.*noun*. tramp, refugee; 2.*adj*. roaming; 3.*adj*. unhappy, unlucky (Anvari, 1382/2003) and Azerbaijani **Avara**

[**avara**] – 1.*noun*. an idle person wandering about the streets, a person who has no job and who is incapable of working; 2.*adj*. homeless (Orucov, 2006).

The first meaning of the etymon “tramp” was transferred into Azerbaijani and Georgian retaining the initial meaning and, at the same time, acquiring new ones. The semantic closeness between the first meaning of the Azerbaijani version and the Georgian meaning proves that this word penetrated Georgian via Azerbaijani.

2. Georgian დაზგა [**dazga**] – *noun*. 1. lathe – a machine for the processing of metal (wood etc.) // a machine for making textile and other objects; 2. a carpenter’s desk; 3. working table for artisans of diverse fields; 4.*arch*. same as counter (KEGL, 1950/64).

Cf. Persian. هاگتسرد [**dastgâh**] – *noun*. 1. A tool, installation, lathe 2. An apparatus, system; 3. Power, authority (Anvari, 1382/2003) and Azerbaijani **Dəzga** [**dæzga**] – *noun* 1. A machine, which produces different objects from wood, metal and other material; 2. A large table where artisans work; 3. A tool for weaving carpets (Orucov, 2006).

The Azerbaijani meanings and three Georgian meanings are based on the initial meaning of the etymon. The synonymous meaning of “the counter” has been developed in Georgian from the transformation of the meaning of “lathe” as a working table of an artisan.

The fact that this word came into Georgian from Azerbaijani is proved by the phonetic similarity between the Georgian and Azerbaijani forms as well as by the fact that the Persian sound sequence **st** was replaced by **ð/z** which is unusual for Georgian.

3. Georgian თობუმი-ი [**toxum-i**] – *noun*. origin, kin, clan (KEGL, 1950/64).

Cf. Persian. مځت [**toxm**] – *noun*. 1. seed, grain (of plant); 2. egg; 3. clan (Anvari, 1382/2003) and Azerbaijani **Toxum** [**toxum**] – *noun* 1. seed 2. origin (Orucov, 2006).

The phonetic form proves that the Georgian parallel was derived from Azerbaijani.

4. Georgian ზაჰრუმა [**zahruma**] – 1.*interjection*. Death! Perishing! Annihilation! (KEGL, 1950/64).

Cf. Persian زهرام [zähr-e mâr] - *noun*. snake poison (Anvari, 1382/2003) and Azerbaijani Zəhrimar – [zæhrimar] - 1. *noun*. poison; 2. *interjection* death, pest! (Orucov, 2006).

The Persian word combination زهرام [zähr-e mâr] turned into an interjection in Azerbaijani and penetrated Georgian also in the form of an interjection.

5. Georgian ნარ-ი [nar-i] – *noun, archaic*. male camel (KEGL, 1950/64).

Cf. Persian نر [när] 1. *adjective*. male; 2. *adj. archaic*. courageous, brave; 3. *noun* male animal (Anvari, 1382/2003) and Azerbaijani Nər – [nær] – 1. *adj.* strong, brave, courageous; 2. *noun*. male animal/male camel (Orucov, 2006).

One of the meanings of the Persian etymon – “brave” – was transferred into Azerbaijani. As for the substantive meaning “male animal”, in Azerbaijani its semantics was restricted and later this meaning was transferred to the monosemantic Georgian parallel.

6. Georgian ჯამბაზ-ი [jambaz-i] – *noun* 1. acrobat, tightrope walker; 2. actor at the circus, clown (KEGL, 1950/64).

Cf. Persian زاباناج [jānbāz] – 1. *adj.* a person who risks his own life; brave, courageous; 2. *noun* a brave, courageous, fearless person; 3. *noun, archaic*. tightrope walker, acrobat (Anvari, 1382/2003) and also Persian زاباماج - [jāmbāz] - *noun* 1. A drunkard and troublemaker; 2. swindler, cardsharp (Anvari: 1382/2003) and Azerbaijani Canbaz [jambaz] – *noun* 1. acrobat; 2. joker (Orucov, 2006).

The first meanings of Georgian and Azerbaijani parallels are based on the archaic Persian substantive meaning of زاباناج [jānbāz] - tightrope walker, acrobat. As for the meaning “clown, joker”, its basis is the meaning of زاباماج [jāmbāz] - “drunkard, trouble-maker”, based on the association of drinking with fun and joking. Thus, this is the case of contamination of two paronyms in the borrower languages. The semantic equivalence of “clown, joker” in Azerbaijani and Georgian points to the fact that this meaning was transferred to Georgian from Azerbaijani.

Unlike Azerbaijani, where only the form Canbaz [janbaz] is found, in Georgian, there are phonetic variants ჯამბაზ-ი [janbaz-i]

and ჯამბაზ-ი [jambaz-i]. This means that, alongside semantic contamination, phonetic contamination also took place.

7. Georgian ჯომარდ-ი [jomard-i] – *archaic, adjective, noun*: brave, daring, merciful (KEGL, 1950/64).

Cf. Persian جواد [jävânmârd] – 1. *noun*. Generous, noble, merciful person. 2. *noun*.

a brave person; 3. *adj.* merciful, generous; 4. *adj.* brave, daring (Anvari, 1382/2003) and Azerbaijani **Cavanmærd** [javanmærd] see: **comærd** [jomærd] - *adj.* 1. generous, noble; 2. merciful, brave (Orucov, 2006).

This loanword has two phonetic variants in Azerbaijani. Both meanings of the grammatically polysemantic etymon are transferred in the form of an adjective.

The Georgian version is also grammatically polysemantic. It is based on the third and fourth meanings of the etymon. The Georgian word ჯომარდ-ი [jomard-i] is based on the Azerbaijani phonetic form **comærd** [jomærd].

The examples discussed above prove that certain loanwords penetrated into Georgian either directly from Persian as well as via Azerbaijani. This fact points to the necessity of further research in this direction.

References:

- Anvari, H.(1382/2003). Farhang-e feshorde-ye soxan: soxan I-II[An Abridged Dictionary of Words], Tehran: soxan.
- Andronikashvili, M.(1965). Arabuli sityvebis sparsuli gzit shemosvlis shesaxeb qartulshi [On the Penetration of Arabic Words into Georgian via Persian], Proceedings of Tbilisi State University, 105, 298-330, Tbilisi: Tbilisi University Press.
- Andronikashvili, M.(1966). Narkvevebi iranul-kartuli enobrivi urtiertobidan I[Studies in Iranian-Georgian Linguistic Contacts I], Tbilisi: Tbilisi University Press.
- KEGL: Kartuli enis ganmartebiti leksikoni[The Explanatory Dictionary of the Georgian Language](1950-1964), Tbilisi: Press of the Georgian SSR Science Academy.
- Orucov, Ə.(2006). Azərbaycan dilinin izahlı lüğəti [The Explanatory Dictionary of the Azerbaijani Language, 4 volumes], Baku: Sherq-Qerb.

კავკასიის ომი. ხასიათი და დროითი ჩარჩოები
THE CAUCASIAN WAR. THE NATURE AND TIME FRAME

გიორგი ანჩაბაძე
George Anchabadze

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ilia State University

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
School of Arts and Sciences

საკვანძო სიტყვები: იმამათი, კავკასია, რუსეთი, ომი, ქრონოლოგია
Keywords: Imamate, Caucasus, Russia, War, Chronology